პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი
16 ოქტომბერი
1942 წ.
№ 246 (6562)
ფასი 15 კაპ.

საბჭოთა მთავრობის განცხადება ჰიტლერელ დამპყრობთა და მათ თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის შესახებ იმ ბოროტმოქმედებათათვის, რომელთაც ისინი ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში სჩადიან

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის საგანგებო დესპანმა და სრულუფლებიანმა მინისტრმა ბ-ნმა ფირლინგერმა და საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტის წარმომადგენელმა ბ-ნმა ჰარომ ა. წ. 23 ივლისს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საშუალებით გადმოსცეს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის ი. ბ. სტალინის სახელზე კოლექტიური ნოტა ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ბელგიის, ჰოლანდიის და ლუქსემბურგის მთავრობებისა და საფრანგეთის ნაციონალური კომიტეტისა, რომლებმაც ა. წ. 13 იანვარს ხელი მოაწერეს „დეკლარაციას ომის დროს ჩადენილ დანაშაულთათვის სასჯელის შესახებ". ამ ნოტაში გამოთქმულია სურვილი, რათა საბჭოთა კავშირის მხრივ გაკეთებულ იქნას გაფრთხილება პასუხისმგებლობის შესახებ იმ ბოროტმოქმედებათათვის, რომელთაც ჰიტლერელები სჩადიან მათ მიერ ოკუპირებულ ქვეყნებში.

14 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა, საბჭოთა მთავრობის დავალებით, ბ-ნ ფირლინგერსა და ბ-ნ ჰაროს გაუგზავნა ქვემოთ მოყვანილი განცხადება:

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ი. ბ. სტალინმა, გაეცნო რა ჰიტლერული გერმანიის მიერ დროებით ოკუპირებული ქვეყნების წარმომადგენელთა მისდამი მიმართულ მოწოდებას გააკეთოს საქვეყნო გაფრთხილება პასუხისმგებლობის შესახებ იმ ბოროტმოქმედებათათვის, რომელთაც ჰიტლერელები მათ მიერ დაპყრობილ ტერიტორიებზე სჩადიან, დაავალა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს აცნობოს ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობებს და საფრანგეთის ნაციონალურ კომიტეტს საბჭოთა მთავრობის ქვემოთ მოყვანილი განცხადება:

საბჭოთა მთავრობა და მთელი საბჭოთა ხალხი ძმური სოლიდარობის გრძნობითა და ღრმა სიმპატიით ეპყრობიან ჰიტლერული გერმანიის მიერ ოკუპირებული ევროპის ქვეყნების ხალხთა ტანჯვასა და განმათავისუფლებელ ბრძოლას. უბედურება, დამცირება და წამება, რასაც ამ ხალხებს აყენებს ჰიტლერული ტირანია, მით უფრო გასაგებია საბჭოთა ხალხებისათვის, რომ ჰიტლერელი დამპყრობნი მათ მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში საზარელი მასშტაბებით სჩადიან თავიანთ ავაზაკურ დანაშაულებათ, — მშვიდობიან მოქალაქეთა მასობრივ მკვლელობას, ქალაქებისა და სოფლების ნგრევას, მოსახლეობის ძარცვასა და ოხრებას, მხეცურ ძალადობას ქალებისადმი, ბავშვებისა და მოხუცებისადმი, ასიათასობით ადამიანის წაყვანას მონობაში.

საბჭოთა მთავრობისათვის მის მიერ მიღებული კოლექტიური მიმართვით შეტყობინებული ცნობები ჰიტლერელი ოკუპანტებისა და მათ თანამონაწილეთა მხეცობის შესახებ კვლავ ადასტურებენ მათ სისხლიან დანაშაულთა საყოველადგილო და წინასწარგანზრახულ ხასიათს, მოწმობენ იმას, რომ გერმანიის ფაშისტურმა მთავრობამ და მისმა თანამონაწილეებმა, რომლებიც ისწრაფვიან დაიმონონ ოკუპირებული ქვეყნების ხალხები, დაანგრიონ მათი კულტურა და დაამცირონ ნაციონალური ღირსება, მიზნად დაისახეს აგრეთვე დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის პირდაპირი ფიზიკური გაჟლეტა.

საბჭოთა მთავრობა ამავე დროს აღნიშნავს, რომ გერმანელმა ფაშისტებმა ვერც დაშინებისა და მოსყიდვის მეთოდებით, ვერც რასიული შუღლის გაღვივების გზით, ვერც ძარცვითა და დამშევით, ვერც სისხლიანი აწიოკებით ვერ მოახერხეს გაეტეხნათ ევროპის ხალხთა ნებისყოფა ოკუპანტების წინააღმდეგ ბრძოლისადმი თავიანთი ქვეყნების განთავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. არ ეშინიათ რა გარდუვალი მსხვერპლისა, რაც თან მოაქვს ამ სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლას, და არ სცნობენ რა არც მტრის შეწყალებას და არც კომპრომისს მასთან და მის ხელშემწყობებთან, პატრიოტები ჰიტლერელების მიერ ჩაგრულ ქვეყნებში იყენებენ დამპყრობლებთან ბრძოლის ყველა ხელმისაწვდომ საშუალებას, სახალხო პარტიზანულ მოძრაობასაც კი აჩაღებენ.

ჰიტლერელების მიერ ჩაგრულ ხალხთა ღირსებისა, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მამაცი მებრძოლნი არ ჩერდებიან არაფრის წინაშე, რათა ჰიტლერელ ოკუპანტებსა და გერმანიის სამხედრო მანქანას მაქსიმალურად შესაძლებელი ზიანი მიაყენონ; ისინი ფუშავენ სამხედრო-სამრეწველო წარმოებას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, მოქმედებენ რა სხვადასხვა მეთოდებით, მუშაობის ტემპების შენელებითა და ხარისხის გაუარესებით დაწყებული და გაფიცვებით, წარმოებიდან მასობრივი წასვლით, მანქანებისა და პროდუქციის გაფუჭებით, ქარხნებსა, ელექტროსადგურებსა და შახტებში დივერსიული აქტებით გათავებული; ისინი აწყობენ გერმანელ მჩაგვრელებისათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ჩაბარების ბოიკოტს; ისინი ფუშავენ ჰიტლერელთა იმ ღონისძიებებს, რაც მიმართულია უცხოელი მუშების შეგროვებისა და გერმანიაში გაგზავნისაკენ, მუშებისა, რომელნიც განწირულნი არიან მონური შრომისათვის იმ იარაღის დასამზადებლად, რაც განკუთვნილია ევროპის დაჩაგრული ხალხების მოკავშირეთა წინააღმდეგ გამოსაყენებლად; ისინი, გერმანელი ავაზაკი იმპერიალისტების მიერ ჩაგვრის წინააღმდეგ მებრძოლნი, სპობენ ან აფუჭებენ ოკუპანტების საომარ და ნედლეულ მარაგს, ისინი ანგრევენ მტრის კომუნიკაციებს, ანგრევენ ლიანდაგს, აფეთქებენ ხიდებს და ლიანდაგიდან აგდებენ მატარებლებს, იწვევენ ავარიებს სავაჭრო გემებსა და სამხედრო ხომალდებზე, სწყვეტენ სატელეგრაფო და სატელეფონო კავშირს; ისინი პრაქტიკულ დახმარებას უწევენ მოკავშირეთა ავიაციის მოქმედებას ჰიტლერელების მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე; ისინი საბოტაჟს უწევენ სამხედრო და სამოქალაქო საოკუპაციო ხელისუფალთა ღონისძიებებს; ისინი სიკვდილით სჯიან ჰიტლერული ძალადობისა და ტერორის დამნაშავეებს, ორგანიზატორებსა და შემსრულებლებს ისევე, როგორც მოღალატეებს, რომლებიც ოკუპანტებს ეხმარებიან. ყველაზე უფრო საგრძნობი ზიანი მიადგა მტერს იმ ქვეყნებში, სადაც, მსგავსად სახალხო შურისმგებელთა — პარტიზანთა დიადი მოძრაობისა, რომელნიც ოკუპანტების წინააღმდეგ იბრძვიან ჰიტლერელების მიერ დროებით ოკუპირებულ საბჭოთა ტერიტორიებზე, ერთგული პატრიოტები უშიშრად დაადგნენ დამპყრობლებთან შეიარაღებული ბრძოლის იმავე გზას, როგორც ამას ადგილი აქვს განსაკუთრებით იუგოსლავიაში.

ეჭვი არ არის, რომ ამ სახელოვანი განმათავისუფლებელი ბრძოლის წარმატებით განვითარება ყოველგვარი მისი გამოვლინებით გახდება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა საერთო მტრის საბოლოო განადგურებისა და მოაახლოებს იმ შურისგების ჟამს, რომლისკენაც ასე სამართლიანად მოუწოდებენ ჰიტლერული გერმანიის მიერ ოკუპირებული ქვეყნების წარმომადგენლები.

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ ვ. მ. მოლოტოვის 1941 წლის 25 ნოემბრის ნოტაში — გერმანიის ხელისუფალთა აღმაშფოთებელი მხეცობის შესახებ საბჭოთა სამხედრო ტყვეების მიმართ, ამა წლის 6 იანვრის ნოტაში — გერმანელ ხელისუფალთა მიერ დაპყრობილ საბჭოთა ტერიტორიებზე მათი საყოველთაო ძარცვის, მოსახლეობის აკლებისა და საშინელი მხეცობის შესახებ და ამა წლის 27 აპრილის ნოტაში — გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საშინელი ბოროტმოქმედებისა, მხეცობისა და ძალადობის შესახებ მათ მიერ ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში და ამ დანაშაულობათათვის გერმანიის მთავრობისა და სარდლობის პასუხისმგებლობის შესახებ, — ამ ნოტებში, რაც გაეგზავნა ყველა მთავრობას, რომლებთანაც საბჭოთა კავშირს დიპლომატიური ურთიერთობა აქვს, საბჭოთა მთავრობამ „გერმანელთა ჯარების არაადამიანური და ავაზაკური მოქმედებისათვის მთელი პასუხისმგებლობა გერმანიის დანაშაულებრივ ჰიტლერულ მთავრობას" დააკისრა და განაცხადა, რომ „ჰიტლერული მთავრობა და მისი ხელშემწყობნი ვერ გაექცევიან მკაცრ პასუხისმგებლობასა და დამსახურებულ სასჯელს ყველა მათ მიერ ჩადენილი უმაგალითო ბოროტმოქმედებებისათვის, რაც მათ ჩაიდინეს სსრ კავშირის ხალხთა წინააღმდეგ და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ". საბჭოთა მთავრობამ აცნობა აგრეთვე, რომ მისი ორგანოები „ეწევიან ჰიტლერული არმიის ყველა ამ ავაზაკურ დანაშაულობათა დაწვრილებითს აღრიცხვას, რომლებისთვისაც აღშფოთებული საბჭოთა ხალხი სამართლიანად მოითხოვს და მიაღწევს შურისგებას".

გაეცნო რა ამჟამად მიღებულ ინფორმაციას იმ საშინელ ბოროტმოქმედებათა შესახებ, რომლებიც ჰიტლერელებმა ჩაიდინეს და სჩადიან გერმანიის მთავრობისა და სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფალთა ბრძანებით საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, იუგოსლავიის, ნორვეგიის, საბერძნეთის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის ტერიტორიებზე, და ფართოდ აქვეყნებს რა ამ ქვეყნების წარმომადგენელთაგან მიღებულ ინფორმაციას, საბჭოთა მთავრობა ამით კვლავ ყველას გასაგონად, მთელი სიმტკიცითა და შეუდრეკლობით აცხადებს, რომ დანაშაულებრივმა ჰიტლერულმა მთავრობამ და ყველა მისმა ხელშემწყობმა უნდა მიიღონ და კიდეც მიიღებენ დამსახურებულ მკაცრ სასჯელს იმ ბოროტმოქმედებათათვის, რაც მათ მიერ ჩადენილია საბჭოთა კავშირის ხალხების წინააღმდეგ და ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხის წინააღმდეგ გერმანიის არმიისა და მის თანამონაწილეთა მიერ დროებით ოკუპირებულ ტერიტორიებზე.

საბჭოთა მთავრობა იწონებს და იზიარებს მის მიერ მიღებული კოლექტიური ნოტით გამოხატულ სამართლიან მისწრაფებას უზრუნველყოფილ იქნას მართლმსაჯულების ხელში გადაცემა და პასუხისგებაში მიცემა აღნიშნულ ბოროტმოქმედებებში დამნაშავეებისა და გამოტანილ განაჩენთა სისრულეში მოყვანა. საბჭოთა მთავრობა მზად არის მხარი დაუჭიროს მოკავშირე და მეგობრული ქვეყნების ამ მიზნისაკენ მიმართულ პრაქტიკულ ღონისძიებებს და იმედოვნებს, რომ ყველა დაინტერესებული სახელმწიფო ხელს შეუწყობს ერთმანეთს ჰიტლერელებისა და მათი თანამონაწილეების მოძებნასა, გადაცემასა, სამართალში მიცემასა და მკაცრ დასჯაში, რომლებიც დამნაშავენი არიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბოროტმოქმედებათა მოწყობასა, წაქეზებასა ან ჩადენაში.

საბჭოთა მთავრობა თანახმაა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ბ-ნ რუზველტის განცხადებისა, რაც მან გააკეთა თავის 12 ოქტომბრის სიტყვაში „მხეცობათა აურაცხელი აქტებისათვის კონკრეტულად პასუხისმგებელ ნაცისტთა ლიდერების" დასჯის საკითხის შესახებ, სახელდობრ, რომ „ლიდერებისა და მათი სასტიკი თანამონაწილეების ხროვა დასახელებულ, დაპატიმრებულ და გასამართლებულ უნდა იქნას სისხლის სამართლის კანონის შესაბამისად". მთელი კაცობრიობა უკვე იცნობს ჰიტლერელ დამნაშავეთა ხროვის მეთაურებს — ჰიტლერს, გერინგს, ჰესს, გებელსს, ჰიმლერს, რიბენტროპს, როზენბერგს და გერმანელთა მხეცობის სხვა ორგანიზატორებს ფაშისტური გერმანიის ხელმძღვანელთაგან და მათს სისხლიან ბოროტმოქმედებათ. საბჭოთა მთავრობა სთვლის, რომ იგი ისევე, როგორც ყველა იმ სახელმწიფოთა მთავრობანი, რომელნიც თავიანთ დამოუკიდებლობას იცავენ ჰიტლერელთა ურდოებისაგან, ვალდებულია ჰიტლერელ დამნაშავეთა ხროვის ამ უკვე მხილებულ მეთაურთა მკაცრი სასჯელი განიხილოს, როგორც გადაუდებელი მოვალეობა იმ უდანაშაულო ადამიანთა აურაცხელი ქვრივებისა და ობლების, ნათესავებისა და მახლობლების წინაშე, რომელნიც მხეცურად აწამეს და დახოცეს დასახელებულ დამნაშავეთა მითითებებით. საბჭოთა მთავრობას აუცილებლად მიაჩნია გადაუდებლად იქნას მიცემული სპეციალური საერთაშორისო ტრიბუნალის სამართალში და სისხლის სამართლის კანონის მთელი სიმკაცრით დაისაჯოს ფაშისტური გერმანიის ყოველი მეთაურთაგანი, რომელიც უკვე ომის პროცესში აღმოჩნდა იმ სახელმწიფოების ხელისუფალთა ხელში, რომელნიც ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ იბრძვიან.

ანახლებს რა ამ მომენტში თავის გაფრთხილებას იმ პასუხისმგებლობის მთელი სიმძიმის შესახებ, რომელიც უნდა დაეკისროს დანაშაულებრივ ჰიტლერელ მმართველებს და ყველა მათს ხელშემწყობს მათ მიერ ჩადენილ საზარელ ბოროტმოქმედებათათვის, საბჭოთა მთავრობა დროულად სთვლის დაადასტუროს მის ოფიციალურ განცხადებებში გამოთქმული რწმენა იმისა, რომ ჰიტლერული მთავრობა, რომელიც მხოლოდ უხეშ ძალას სცნობს, „დამხობილ უნდა იქნას თავისუფლებისმოყვარე ხალხების ყოვლისშემმუსვრელი ძალით", ვინაიდან „მთელი კაცობრიობის ინტერესები მოითხოვენ, რომ რაც შეიძლება მალე და ერთხელ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო იმ თავზეხელაღებულ მკვლელთა ხროვას, რომელსაც ჰიტლერული გერმანიის მთავრობა ეწოდება".

საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ვ. მოლოტოვი

ქ. მოსკოვი, 1942 წლის 14 ოქტომბერი.

საოქტომბრო საჩუქრები გმირ წითელ არმიას

გორი („კომუნისტის" საკ. კორ.). გორის რაიონის კოლმეურნეობები უდიდესი ხალისით შეუდგნენ საოქტომბრო საჩუქრების შეგროვებას წითელი არმიის მებრძოლებისათვის გასაგზავნად. რაიონში საჩუქრების შეგროვებას პირველი გამოეხმაურა სოფელ ხელთუბნის კოლმეურნეობა „განთიადი" (თავმჯდომარე ორდენოსანი ი. ჯანიაშვილი). ეს კოლმეურნეობა წითელ მეომრებს უგზავნის 250 კილოგრამ ხორცს, 3 ტონა ვაშლს, 5 კილოგრამ ერბოს, 10 კილოგრამ ფხვნილ შაქარს და 20 კილოგრამ რაფინადს, 50 კილოგრამ ნაზუქს. გარდა ამისა, კოლმეურნეობის წევრები გაგზავნიან 3 ტონა ვაშლს, 200 ლიტრ ღვინოს, 20 ლიტრ არაყს, 500 ჩურჩხელას, 12 ქათამს, 500 კვერცხს, 100 კილოგრამ ნაზუქს და 200 კილოგრამ ხმელ ხილს. მე-7 ბრიგადის სტახანოველი ბრიგადირი რუსიკო სეფიაშვილი საჩუქრად გზავნის 500 მანეთად ღირებულ ამანათს.

გმირი წითელი არმიისათვის საოქტომბრო საჩუქრებს დიდი წარმატებით აგროვებენ სვენეთის, ოხერას, კარალეთის და სხვ. კოლმეურნეობები.

* * *

დუშეთი („კომუნისტის" სპეც. კორ.). დუშეთის რაიონის მშრომელები გმირი წითელი არმიისათვის გასაგზავნად ამზადებენ ერთ ვაგონ საჩუქრებს. დიდი რაოდენობით იგზავნება წინდები, ხელთათმანები, ყველი, კარაქი, ერბო, კაკალი, ჩირი, ყურძენი, ჩურჩხელა, ვაშლი, მსხალი, სასმელები და სხვ. მარტო სოფ. ახატნის კოლმეურნეობის მოხუცმა ქალებმა ერთი კვირის განმავლობაში იმუშავეს და დაართეს ორი ფუთი მატყლი და ახლა წინდებს ჰქსოვენ. აქვე წითელი არმიის მებრძოლებისათვის გასაგზავნად გამოყოფილია ყურძენი, ვაშლი და სხვ.

რაიონის კოლმეურნეობებში საოქტომბრო საჩუქრებისათვის უკვე დამზადებულია 659 წყვილი წინდა, 365 წყვილი ხელთათმანი, 185 წყვილი თბილი საცვალი, 102 წყვილი ნაბდის ჩექმა, 27 ცალი ყურიანი ქუდი, 185 კილოგრამი მატყლი წინდებისა და ხელთათმანებისათვის, 698 ცალი ტყავი თბილი ტანსაცმლისათვის და სხვ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 ოქტომბრის დილის ცნობა

14 ოქტომბრის ღამის განმავლობაში ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

სტალინგრადის რაიონში გერმანელთა ქვეითმა ჯარმა ტანკების დახმარებით არაერთხელ მიიტანა იერიში ჩვენს პოზიციებზე. ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს და დიდი ზარალი მიაყენეს მას. არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის რამდენიმე ტანკი, 8 საარტილერიო და 2 ნაღმსატყორცნი ბატარეა, გაფანტულია და ნაწილობრივ მოსპობილია გერმანელთა ორ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის ჩრდილო - დასავლეთით 6 ნაწილის მებრძოლებმა მოიგერიეს მტრის ხუთი კონტრიერიში და მოსპეს გერმანელთა 300-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი. ჩვენი არტილერიის ცეცხლით მოსპობილია მტრის 12 სატყვიამფრქვევო წერტი, დანგრეულია 14 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ნაღმსატყორცნი ბატარეა. ერთი ჩვენი ნაწილის მზვერავთა რაზმი ჰიტლერელების სანგრებში შეიჭრა და ხელჩართულ შეტაკებაში 60 გერმანელი ჯარისკაცი დახოცა.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგის ტანკებსა და ქვეით ჯართან. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს იერიშები გერმანელთა ქვეითი ჯარისა, რომელიც ცდილობდა დაეკავებინა ერთი მაღლობი, და გასწყვიტეს მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

საბჭოთა მფრინავებმა მოსპეს გერმანელთა 7 ტანკი, 40 სატვირთო და 3 მსუბუქი ავტომანქანა და 3 საზენიტო-სატყვიამფრქვევო წერტი. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 4 თვითმფრინავი.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა ორი დღის განმავლობაში გასწყვიტეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. არტილერისტებმა და ნაღმსატყორცნელებმა მოსპეს მტრის 12 ძელმიწური საცეცხლე წერტი და ჩაახშეს საველე და საზენიტო არტილერიის 4 ბატარეის ცეცხლი. სნაიპერმა ამხ. სმირნოვმა სამი დღის განმავლობაში 22 ჰიტლერელი დახოცა. სნაიპერმა ამხ. თარცევმა 19 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი გასწყვიტა.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე ორივე მხრივ საარტილერიო და სანაღმსატყორცნო სროლა იყო. საარტილერიო ქვეგანაყოფმა, რომლის მეთაურიც არის ამხ. ბაბაშინსკი, უეცარი ცეცხლითი თავდასხმა მოახდინა მტრის საწყობებზე. მიზნის ადგილას შემჩნეულია სამი ძლიერი აფეთქება, ალის უზარმაზარი სვეტები და კვამლის ბოლქვები. გვარდიის ლეიტენანტების გორდიენკოს და აკიმოვის ტანკსაწინააღმდეგო თოფების გუნდებმა უკანასკნელ ბრძოლებში გერმანელთა 6 ტანკი დასწვეს.

* * *

ვიტებსკის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედმა პარტიზანულმა რაზმმა ლიანდაგიდან გადააგდო გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთა 4 სარკინიგზო ეშელონი ჯარებიანად, საჭურველიანად და საომარ მასალიანად. ამ რაზმის პარტიზანებმა ორი კვირის საბრძოლო მოქმედების დროს 900-მდე [illegible] ოფიცერი გასწყვიტეს.

* * *

გერმანელთა მე-16 მოტოდივიზიის მესანგრეთა ბატალიონის მე-2 ასეულის ტყვე ეფრეიტორმა ალოიზ დრაჰსლერმა გვიამბო: „მეორე ასეულმა ამ ზაფხულზე ბრძოლებში დაჰკარგა 180 კაცი. ამის შემდეგ მან ექვსჯერ მიიღო შევსება. ბევრი ჯარისკაცი შევსებიდან უკვე დალპა მიწაში, სხვები დასახიჩრდნენ და ზურგში გაიგზავნენ. ასეულში ერთი კაციც კი არ დარჩენილა იმათგან, ვინც გასული წლის 22 ივნისს რუსეთის საზღვრებზე გადმოაბიჯა. რამდენიმე დღის წინათ მეორე ასეული კვლავ შეავსეს. ჩვენ 17-18 წლის ჭაბუკები გამოგვიგზავნეს. პირველსავე ბრძოლაში ახლად მოსულნი გაიქცა-გამოიქცნენ. მე ადგილზე დავრჩი, ხოლო როცა რუსები მოგვიახლოვდნენ, ხელები ავწიე და ტყვედ დავნებდი, ვინაიდან არავითარი სურვილი არა მაქვს კიდევ ერთი რუსული ზამთარი გავატარო ფრონტზე".

* * *

გერმანელთა 377-ე ქვეითი დივიზიის 769-ე პოლკის მე-9 ასეულის ეფრეიტორ ერნსტ მოროვილცის იადვიგა კიუზბერისადმი გაუგზავნელ წერილში ნათქვამია: „ჩვენ უკვე სამი თვეა ერთსა და იმავე ადგილს ვტკეპნით. არ შემიძლია გიამბო ყველაფერი, რაც მოხდა. ჩვენ მძიმე ზარალი მოგვივიდა. როდესაც საფრანგეთიდან გამოვედით, ასეულის შემადგენლობაში 200-ზე მეტი კაცი იყო, ახლა მხოლოდ 30 ჯარისკაცი დარჩა".

15 ოქტომბრის საღამოს ცნობა

15 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მოწინააღმდეგესთან **სტალინგრადის** რაიონში და **მოზდოკის** რაიონში. სხვა ფრონტებზე არავითარი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

14 ოქტომბრის განმავლობაში ჩვენმა ავიაციამ ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპო ან დააზიანა გერმანელთა **5** ტანკი, 40-მდე ავტომანქანა ჯარებიანად, ჩააქრო 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი, დაამსხვრია სარკინიგზო შემადგენლობა, გაჰფანტა და ნაწილობრივ მოსპო მოწინააღმდეგის ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი.

* * *

სტალინგრადის რაიონში ჩვენი ჯარები გააფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ. მოწინააღმდეგემ ორამდე ქვეითი დივიზიით, 100 ტანკითა და ავიაციის დიდი რაოდენობის დახმარებით იერიშები მიიტანა მუშათა უბანზე. ჩვენი მებრძოლნი თავდადებით იგერიებენ ჰიტლერელთა მძაფრ იერიშებს. ცალკეულ უბნებზე დიდი ზარალის ფასად მოწინააღმდეგემ შესძლო რამდენადმე შევიწროვებინა ჩვენი ნაწილები. დღის განმავლობაში, არასრული ცნობებით, დაზიანებულ და დამწვარ იქნა გერმანელთა 45-ზე მეტი ტანკი და მოსპობილია მოწინააღმდეგის 1.500-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სტალინგრადის სამხრეთით ერთი ჩვენი ნაწილის მებრძოლებმა ღამის ბრძოლაში მოსპეს 300 ჰიტლერელი, 5 ქვემეხი, 6 მიწური საცეცხლე წერტი მათი გარნიზონებიანად და საჭურველიანად და ორი სანივთო საწყობი; ხელთ ჩაიგდეს დავლა და ტყვეები.

* * *

სტალინგრადის ჩრდილოეთ-დასავლეთით ადგილობრივი მნიშვნელობის ბრძოლები სწარმოებდა. გვარდიის 6 ნაწილის მზვერავებმა მტრის ქვეითი ჯარის დაჯგუფება შეამჩნიეს და გამოარკვიეს, რომ გერმანელები იერიშისათვის ემზადებოდნენ. ჩვენმა არტილერისტებმა რამდენიმე ცეცხლითი თავდასხმა მოახდინეს და გაჰფანტეს მოწინააღმდეგის დაჯგუფება. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგეზე და დაიკავეს მისი სანგრების პირველი ხაზი. მოსპობილია გერმანელთა ერთ ასეულამდე ქვეითი ჯარი. საზენიტო არტილერიისა და სახმელეთო ჯარების ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 3 თვითმფრინავი.

* * *

მოზდოკის რაიონში ჩვენი ნაწილები ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგის იმ ტანკებისა და ქვეითი ჯარის ჯგუფის გასანადგურებლად, რომლებიც ჩვენს თავდაცვაში სოლივით შემოიჭრნენ. დღის განმავლობაში გერმანელებმა ზედიზედ სამი იერიში მიიტანეს და ცდილობდნენ ჩვენი თავდაცვა გაერღვიათ. ჩვენმა ქვეგანაყოფებმა მოიგერიეს ჰიტლერელთა იერიშები და ისინი უკუაგდეს პირვანდელ მდგომარეობაში. ამ უბანზე წარმოებულ ბრძოლებში დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 19 ტანკი და მოსპობილია მოწინააღმდეგის ორ ასეულამდე ქვეითი ჯარი. სხვა უბანზე მებრძოლები ლეიტენანტ კომლიცკის მეთაურობით შეიჭრნენ მტრის სანგრებში და მოსპეს რამდენიმე ათეული გერმანელი ჯარისკაცი. მოწინააღმდეგესთან ამ შეტაკებაში სერჟანტმა აბდულა კაზანოვმა ხიშტითა და გრანატით დახოცა 9 გერმანელი ჯარისკაცი და 3 ოფიცერი.

* * *

ჩვენმა მზვერავმა რაზმმა ბრიანსკის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოახდინა დაზვერვა ბრძოლით. ჩვენმა მებრძოლებმა მოიგერიეს მოწინააღმდეგის ორი კონტრიერიში, დახოცეს 300-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელთ ჩაიგდეს 1 ზარბაზანი, 300 ყუმბარა, რამდენიმე ტყვიამფრქვევი, ავტომატები, შაშხანები და 5 ათასი ვაზნა.

* * *

მინსკის ოლქში მოქმედმა პარტიზანთა ჯგუფმა ლიანდაგიდან გადააგდო მოწინააღმდეგის სარკინიგზო ეშელონი. დამსხვრეულია: ორთქლმავალი, 22 ვაგონი ჯარებიანად, 13 ბაქანი ავტომანქანებიანად და ორი ცისტერნი საწვავიანად.

* * *

გერმანიის 593-ე ქვეითი პოლკის ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხთა მე-14 ასეულის საბრძოლო მომარაგების აღალის ტყვე მეთაურმა, უნტერ-ოფიცერმა ჰუგო გუტმანმა განაცხადა: „ჩვენმა პოლკმა პირადი შემადგენლობის 60-70 პროცენტი დაჰკარგა. ამ უკანასკნელ ხანს მწყობრიდან ძალიან ბევრი ოფიცერი გავიდა. 1-ლ ბატალიონში ცოცხლად კადრის არც ერთი ოფიცერი არ დარჩენილა. მე-5 ასეულმა მოკლულთა სახით 3 ოფიცერი დაჰკარგა. დაჭრილნი არიან 1-ლი ბატალიონის მეთაური და მე-2 ბატალიონის მეთაური. ორივე თადარიგის ოფიცერია. უდიდეს ზარალთან დაკავშირებით ორი ბატალიონი გააერთიანეს და ერთ ბატალიონად აქციეს. ბატალიონის ახალი მეთაური მარბერტიც თადარიგის ოფიცერია. ამ ცოტა ხნის წინათ მან ძალიან მოკლედ, მაგრამ ნათლად გამოსთქვა თავისი დამოკიდებულება ომისადმი შემდეგი სიტყვებით: „მუსრს თავი დავაღწიო. ამ სიბინძურეს და შინ დავბრუნდე. სულერთია ჩვენ მეორე რუსულ ზამთარს ვერ გადავიტანთ".

* * *

გერმანელთა მიერ ხელში ჩაგდებულ ქალაქ დნოს მცხოვრებთ დამპყრობებმა შიმშილით სიკვდილი განუმზადეს. ჰიტლერელები სიახლიანი გასწორების მუქარით აიძულებენ ქალებსა და მოზარდებს 18-18 საათს იმუშაონ დღეღამეში გერმანელებისათვის. იმათ, ვინც იძულებითს სამუშაოს იხდის, დღეში 200 გრამი ბზე ეძლევათ. ოქტომბრის დასაწყისში გერმანელებმა დახვრიტეს 18 ქალი, რომლებსაც შიმშილისაგან უკიდურესი დაუძლურების გამო ადგილიდან დაძვრა არ შეეძლოთ და სამუშაოზე ვერ გამოვიდნენ.

* * *

პოლონელი გლეხები უარს ამბობენ ჩააბარონ გერმანელ დამპყრობთ პური და სურსათი. ამ ნიადაგზე ბევრ რაიონში შეტაკებები ხდება გლეხებსა და „სს"-ელთა შორის. ამ ცოტა ხნის წინათ იზბიცის მიდამოებში პოლონელმა პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს 4 საწყობს, სადაც ინახებოდა გლეხებისათვის წართმეული პური. ვლადისლავოვის მახლობლად უკვალოდ დაიკარგა „სს"-ელთა რაზმის 12 ჯარისკაცი. რამდენიმე დღის შემდეგ მათი გვამები ტყეში იპოვნეს.

ბრძოლა მთებში

მოქმედი არმია, 15 ოქტომბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). კარგად გაწვრთნილ, ალპებში დიდხანს ტრენირებულ გერმანელთა სამთო-ეგერთა პოლკმა მოახერხა კავკასიის მთებში შემოსვლა.

მტერს გზა გადაუღობა მესაზღვრეთა ორმა ბატალიონმა. მაგრამ მტერმა მოასწრო იმ მაღლობზე გამაგრება, რომელიც მიდამოს დაჰყურებს. გერმანელებმა თავიანთ წინ ააფეთქეს ერთად-ერთი ბილიკი და ავტომატების, ტყვიამფრქვევებისა და ნაღმსატყორცნების ფლანკირებულ ცეცხლს უშენდნენ. ღამით მესაზღვრეები ფარულად მიუახლოვდნენ მოწინააღმდეგეს და სწრაფი დარტყმით უკუაგდეს ფაშისტები. მტერმა 200-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. ფაშისტებმა გაქცევით უშველეს თავს, მიატოვეს საჭურველი, საომარი მასალა, ალპური საწვიმრები, საზნები და მთის კალთების მცხოვრებთაგან წართმეული ნივთები.

სამი დღის განუწყვეტელი ბრძოლა ჩვენი მებრძოლების სრული გამარჯვებით დამთავრდა. გერმანელები უკუგდებულ იქნენ კავკასიის მთის კალთებიდან.

ქ. პუხოვი

მტრის დასაყრდენი პუნქტის ხელში ჩაგდება

ბრიანსკის ფრონტი, 15 ოქტომბერი (საკუთარი). თითქმის 6 თვეს ამაგრებდა მტერი ამ მაღლობს. იგი საშუალებას აძლევდა მას კონტროლი და მეთვალყურეობა გაეწია ჩვენი თავდაცვისათვის 5-6 კილომეტრ სიღრმეში, უზრუნველჰყოფდა ჯარების ფარულ თავმოყრას და იცავდა ორ დასახლებულ პუნქტს. გერმანელებმა ამ მაღლობზე წინააღმდეგობის დიდი კვანძი შექმნეს, ააშენეს 12 მიწური საცეცხლე წერტი სანგრებში გასასვლელების ძლიერ განშტოებული სისტემით, დანაღმეს თავისი პოზიციების ყველა მისადგომი. მაღლობის ხელში ჩაგდება დავალებული ჰქონდა გვარდიის 6 ნაწილს.

იმ ადგილის მსგავს ადგილას, რომელიც ხელში უნდა ჩაგვეგდო, ჩატარებულ იქნა სპეციალური მეცადინეობა. და როცა ბრძანება მოვიდა შეტევის შესახებ, ყოველმა გვარდიელმა ზუსტად იცოდა სანგრებსა და გვირაბებში ბრძოლის წარმოების მეთოდები.

ნაშუადღევს მებრძოლებმა დაიკავეს საწყისი პოზიციები. იერიში დილის 11 საათისთვის იყო დანიშნული. შტოლნში, მტრის მიწური საცეცხლე წერტების ქვეშ, ჩაწყობილი იყო ფეთქებადი ნივთიერებანი. დათქმულ საათში მაღლობის თავზე ავარდა რაკეტი და იმწამსვე გაისმა ძლიერი აფეთქების ხმა. მტრის ორი მთავარი წინა მიწური წერტი ჰაერში ავარდა. იმავე დროს აფეთქებულ იქნა მტრის მავთულხლართიანი დაბრკოლება. გაჩნდა გარღვევა, რომლითაც შეიძლებოდა უეცრად დაგვერტყა მტრის წინააღმდეგობის კვანძისთვის.

სანგართა გასასვლელებით და გვირაბებით შეუტიეს გვარდიელებმა. მათ გადალახეს დანაღმული მინდვრები და რამდენიმე წუთის შემდეგ მტრის გამაგრებული კვანძი ჩვენს ხელში გადმოვიდა.

გვარდიელების დარტყმა მაღლობზე იმდენად მოულოდნელი და სწრაფი იყო, რომ ბლინდაჟებსა და მიწურ საცეცხლე წერტებში ხელთ ვიგდეთ 8 მძინარი ჰიტლერელი. მაღლობზე დარჩა 135 გვამი გერმანელი ჯარისკაცებისა და ოფიცრებისა და მთელი მათი ავტომატური იარაღი.

ჰიტლერელები მხოლოდ ერთი საათის შემდეგ მოვიდნენ გონს და კონტრიერიშზე გამოუშვეს ჯავშნიანი მანქანა და ორი ოცეული ქვეითი ჯარი. კონტრიერიში მოგერიებულ იქნა. ამის შემდეგ ფაშისტები 5 დღის განმავლობაში ზედიზედ ცდილობდნენ დაებრუნებინათ მაღლობი. 5 დღის სწარმოებდა სასტიკი ბრძოლა. გერმანელები 10-ზე მეტჯერ უტევდნენ მაღლობს, მაგრამ ყოველთვის მათი იერიში გვარდიელების სიმტკიცეზე იმსხვრეოდა. ამ დღეების განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა კიდევ 600-მდე ფაშისტი გაჟლიტეს.

ი. ბრიგოვი

ჯავშნიანი მატარებლების ცეცხლითი თავდასხმები მოზდოკის რაიონში

მოქმედი არმია, 15 ოქტომბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). ჯავშნიანი მატარებელი ნელა მიიმართება ცეცხლითი პოზიციისაკენ. ახლოა მტრის სანგრები. ისინი უკვე მოსჩანან საბრძოლო სარკმლის ხვრელში. რუპორიდან ისმის მაიორ არკუშის ბრძანება:

— ცეცხლი!

ქვემეხთა გრიალმა შეარყია მიდამო. კვამლში გაეხვია ჯავშნიანი მატარებელი. ყუმბარები პირდაპირ ხვდებოდა მიზანს და სპობდა მტრის მიწურებსა და ბლინდაჟებს. ჰიტლერელებმა რომლებისთვისაც თავდასხმა მოულოდნელი იყო, ვერ მოასწრეს ცეცხლის გაჩაღება; საბრძოლო დავალება შესრულებულ იქნა: მოსპობილია მტრის 3 ტანკი, ჩახშობილია ნაღმსატყორცნი ბატარეა. მტერმა 100-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაჰკარგა. როდესაც გერმანელებმა სროლა გააჩაღეს, ჯავშნიანი მატარებელი უკვე მთელი სვლით იცვლიდა თავის საცეცხლე პოზიციებს.

მოზდოკის რაიონში ჯავშნიანი მატარებლები დიდ დახმარებას უწევენ ჩვენს ნაწილებს. თავიანთი ცეცხლითი თავდასხმებით ისინი მნიშვნელოვან ზარალს აყენებენ ჰიტლერელებს: ურტყამენ მტრის თავმოყრას, ანგრევენ მის თავდაცვითს ნაგებობებს, სპობენ ტანკებს, ჟლეტენ გერმანელთა ქვეით ჯარს. ერთ-ერთ რაიონში № ჯავშნიანმა მატარებელმა მოსპო მტრის 8 ტანკი, რომლებიც ჰიტლერელებს ჩვენი მსროლელთა ქვეგანაყოფის ფლანგისათვის დასარტყმელად ჰქონდათ გამზადებული. ამას წინათ ჯავშნიანმა მატარებელმა სადესანტო რაზმი გადასხა, რომელმაც ბევრი ჰიტლერელი მოსპო და ხელთ იგდო დავლა.

გერმანელ მაკორექტირებლის შეპყრობა

მოქმედი არმია, 15 ოქტომბერი (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). სადღაც აქ, სახლების ნანგრევებში, სტალინგრადის ამ ოდესღაც მყუდრო შესახვევში თავი შეაფარა მტერმა. ეს იყო გერმანელი მაკორექტირებელი, რომელიც ფაშისტთა ნაღმსატყორცნი ბატარეის ცეცხლს მიმართავდა. მისი პოვნა ძნელია, მაგრამ პოვნა კი საჭიროა.

ამ მიზნისათვის უმცროსმა ლეიტენანტმა პაჩინსკიმ ეფრეიტორი ბორშჩენკო და წითელარმიელი ივაჩი გამოჰყო. მზვერავები საძებნელად წავიდნენ. ისინი ძლივს მიძვრებოდნენ შენობათა ნანგრევებს შორის ნაღმსატყორცნთა განუწყვეტელ ცეცხლში.

მებრძოლები ღრმად შეიჭრნენ შესახვევთა ლაბირინტში. მოჩხრიკეს ბევრი სარდაფი და მავთულხლართით შემოვლებული ნაყუმბარევი ორმოები—ყოველივე უშედეგო იყო. ასე იყო ახალი რაიონის დათვალიერება უნდოდათ, რომ ბორშჩენკოს ყურადღება ნაცარში დატოვებულმა ახალმა კვალმა მიიპყრო. კვალი იმ საკომურისკენ მიდიოდა, რომელიც მარტო აუუდებელიყო შენობის დანახშირებულ ნანგრევთა შორის.

მზვერავებმა იპოვნეს კიბე და უხმაუროდ მიაყუდეს საკომურს. ზევით ავიდა ბორშჩენკო, რომელსაც ხელში რიყის ქვა ეკავა. მან ქვა საკომურში ჩააგდო. საკომურში მდგომი გერმანელი ძირს ჩავარდა. მწვართლისაგან გამოვებული მტრის მაკორექტირებელი მზვერავებმა სამეთაურო პუნქტში მიიყვანეს.

დ. შჩუკინი

საბრძოლო დავალება წარმატებით შევასრულეთ

ჩვენი № ნაწილი სასტიკი ბრძოლისათვის ემზადებოდა. მე მივიღე საბრძოლო დავალება — დამეზვერა მტრის განლაგება და მისი სიძლიერე. წავიყვანე ჩემი ოცეული. სულ რჩეული ბიჭებია — ს. ჩხარტიშვილი, ვ. თოხაძე, ნ. ხაჟომია, ელოშვილი, აკოფოვი და სხვ. შევედით მტრის ზურგში. მტრის ერთ-ერთ განლაგებას მივუახლოვდით 50-60 მეტრზე. გუშაგმა ასტეხა სროლა, ჩვენც გავხსენით ცეცხლი და უკუვაქციეთ ორი ოცეული. შემდეგ სწრაფად გადავინაცვლეთ ადგილი და შევიმიღებთ. ამ დროს მტერმა ასტეხა ნაღმსატყორცნების ძლიერი სროლა. ჩემს მებრძოლებს ვუბრძანე ადგილიდან არ დაძრულიყვნენ. მტრის ცეცხლს ჩვენებმა უპასუხეს ნაღმსატყორცნების ცეცხლით. ამ დუელმა საშუალება მომცა გამომერკვია მტრის განლაგება. ახლა საჭირო იყო უკან გამობრუნება. მოხერხებული მანევრით ეს შევძელი და საჭირო ცნობები მოვიტანე. საბრძოლო დავალება წარმატებით იქნა შესრულებული.

ამ საბრძოლო ოპერაციის დროს ჩემს ოცეულში დაიჭრა მხოლოდ სამი — მე და ორი მებრძოლი. მალე განვიკურნები და კვლავ განვაგრძობ გერმანელი ოკუპანტების ჟლეტას მათ სრულ განადგურებამდე.

უმცროსი ლეიტენანტი **დ. სალდაძე**

უფროს სამხედრო ფერშალ ვ. კ. კორომინაძის სიმამაცე

მოქმედი არმია („კომუნისტის" კორესპონდენტისაგან). გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის „წითელი ვარსკვლავის" ორდენით დაჯილდოებულია უფროსი სამხედრო ფერშალი ვარლამ კონსტანტინეს-ძე კორომინაძე.

ბრძოლაში ჩვენი ნაწილის ჩაბმის პირველი დღიდანვე მებრძოლთა, მეთაურთა და პოლიტმუშაკთა საერთო მოწონება და პატივისცემა დაიმსახურა თავის მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებით ამხ. კორომინაძემ. მან საუკეთესოდ მოაწყო ბრძოლის ველიდან დაჭრილთა გამოყვანა და მათთვის საჭირო დახმარების აღმოჩენა. ამხ. კორომინაძემ ბევრ დაჭრილ საბჭოთა მეომარს შეუნარჩუნა სიცოცხლე. პირადად მან ბრძოლის ველიდან ძლიერ ცეცხლქვეშ გამოიყვანა 23 დაჭრილი ამხანაგი თავისი იარაღითა და საჭურველით. უშიშარ ფერშალს მრავალჯერ გაუსწორებია თვალი სიკვდილისათვის საბრძოლო დავალების შესრულების დროს. ბრძოლის ყოველ რთულ მომენტში იგი ცეცხლის წინა ხაზზეა, არ ჰკრთის საფრთხის წინაშე, ოღონდ დაჭრილი გამოიყვანოს, სიცოცხლე შეუნარჩუნოს მას, მზრუნველობით ეპყრობა თითოეულ მათგანს. ამხ. კორომინაძე თავს არ ზოგავს იმისათვის, რომ სიკვდილს ხელიდან გამოსტაცოს დაჭრილი საბჭოთა მეომარი. მალე განკურნოს იგი და კვლავ სამშობლოს სახელოვან დამცველთა რიგებში ჩააყენოს.

პოლიტხელი **კ. დობორჯგინიძე**

სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დაჯილდოება

გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დავალებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან გულადობისა და მამაცობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით დაჯილდოებული არიან:

წითელი დროშის ორდენით:

1. უფროსი ლეიტენანტი ვახტანგ ალექსის-ძე **ბასილაშვილი**
2. წითელარმიელი გიორგი ღელიბერის-ძე **სხმაშვილი**.

მედლით „საბრძოლო დამსახურებისათვის":

1. ლეიტენანტი ოთარ ალექსანდრეს-ძე **შვანგირაძე**
2. სახელმწიფო უშიშროების ლეიტენანტი აპოლონ რომანის-ძე **გუგულავა**.

პარტორგანიზაციების შეუნელებელი ყურადღება მომჭირნეობის რეჟიმის მტკიცედ გატარებას

პარტიული ორგანიზაცია მომჭირნეობის რეჟიმისათვის ბრძოლის სათავეში

თბილისის კალინინის სახელობის ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა ეკონომიის რეჟიმისათვის ბრძოლას. რამდენიმე ხნის წინათ ქარხნის საამქროებში უკონტროლოდ ხარჯავდნენ საწვავ და საცხებ მასალებს, საამქროთა უფროსებს არ ჰქონდათ საწვავ-საცხები მასალების ხარჯვის ზუსტი ნორმები.

ამასწინათ საქარხნო პარტიულმა ორგანიზაციამ განიხილა ეს საკითხი. გამოიძახეს საამქროთა უფროსები, ოსტატები, მოითათბირეს და იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ შეიძლება მნიშვნელოვნად დაიზოგოს საწვავ-საცხები მასალები. შედეგმა ერთ კვირაში იჩინა თავი: უკვე 15 ოქტომბრისათვის ქარხანაში იმდენი საწვავ-საცხები მასალა დაზოგეს, რომ ეს მარაგი ქარხანას შეუძლია 3-4 დღეს იკმაროს.

ერთი კვირის წინათ ქარხანაში შეუდგნენ ახალი დეტალების დამუშავება-გაჩარხვას. დეტალების გაჩარხვაზე საჭირო ხდებოდა დიდძალი დამხმარე ხელსაწყოების გამოყენება. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ინიციატივით ადმინისტრაციამ დააწესა პრემიები ამ დამხმარე ხელსაწყოების ეკონომიისათვის. უკვე მეორე დღეს აღნიშნული დამხმარე ხელსაწყოები საამქროებში ნაკლები რაოდენობით გამოიწერეს. საწარმოო დავალებები ყველა საამქრომ გადაჭარბებით შეასრულა.

ქარხანაში მთელი რიგი ღონისძიებებია განხორციელებული ელექტროენერგიის ეკონომიის მისაღწევად: ტრანსმისიები გადაყვანილია ინდივიდუალურ სამძრაო თასმებზე, შემცირებულია სანათურების რაოდენობა, სადაც ამას აუცილებლობა არ მოითხოვს და ა. შ.

ახლა ქარხანასთან აყალიბებენ წარმოების ეკონომიკის შემსწავლელთა წრეს. გამოყოფილი არიან ხელმძღვანელები, შეგროვილია მსმენელთა კონტინგენტი და უახლოეს დღეებში წრეში მეცადინეობას დაიწყებენ.

ეკონომიისათვის ბრძოლაში აქტიურად არიან ჩაბმული ქარხნის მოწინავე სტახანოველები — ორასოვნები და სამასოვნები ამხ. ი. კანდელი, გ. კეკლიშვილი, ო. ბაბაიანი და სხვ. მომჭირნეობით ხარჯავენ რა ნედლეულს, ისინი ამავე დროს აღწევენ დამხმარე მასალების ეკონომიას და გადაჭარბებით ასრულებენ გეგმებს.

მეტი ინიციატივა ნედლეულის მომჭირნეობით ხარჯვაში

თბილისის მოლოტოვის სახელობის ავეჯის ფაბრიკამ (დირექტორი მ. ბუჯიაშვილი) წარმატებით შეასრულა მიმდინარე წლის 9 თვის გეგმა. გეგმა გადაჭარბებით არის შესრულებული როგორც ფართო მოხმარების საქონლის, ისე თავდაცვითი მნიშვნელობის ასორტიმენტის გამოშვების მხრივ. გეგმის შესრულებასთან ერთად ფაბრიკის კოლექტივმა მნიშვნელოვანი რაოდენობით დაზოგა ნედლი მასალა. ოქტომბრის პირველი დღეების განმავლობაში ფაბრიკა ამ დაზოგვილი ნედლი მასალის გადამუშავებაზე მუშაობდა.

ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 8 თვის განმავლობაში ფაბრიკის ადმინისტრაციამ განახორციელა მუშების მიერ შემოტანილი ხუთი რაციონალიზატორული წინადადება და ამის შედეგად მიიღო ნედლი მასალის ეკონომია 11.916 მანეთის და ხელფასის ფონდის ეკონომია 4.764 მანეთის რაოდენობით.

ფაბრიკას ყველა პირობები აქვს იმისათვის, რომ კიდევ უკეთ იმუშაოს, კიდევ მეტი მიღწევები მოიპოვოს. ფაბრიკის ხელმძღვანელობამ და ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციამ უნდა გააძლიერონ ბრძოლა ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებისათვის.

როგორ ვაღწევთ მასალისა და სათბობის ეკონომიას

ჩვენი ქარხნის კოლექტივი დიდ ყურადღებას აქცევს ძირითადი და დამხმარე მასალების ეკონომიას. წინაოქტომბრო სოცშეჯიბრებაში ჩაბმულმა ჩვენმა ქარხანამ გასულ თვეს გეგმის გადამეტებით სახელმწიფოს მისცა 192.000 მანეთის პროდუქცია (1926-27 წლის უცვლელ ფასებში). ამავე დროს დაზოგა 235 ლიტრი სპირტი, 291 კილოგრამი დამხმარე მასალა და 528 კილოგრამი მაზუთი.

დამხმარე მასალებში განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დავზოგეთ შაქარი. აქამდე კონიაკის შეზავებისათვის საჭირო შაქრის სიროფის დამზადებისას სიროფს დიდხანს ადუღებდნენ, რაც იწვევდა მის დაშრობას. ამჟამად დუღილის დროს ტემპერატურის ზუსტად დაცვით მივაღწიეთ იმას, რომ თითოეული კილო შაქრიდან ნაცვლად 7 ლიტრისა 7½ ლიტრზე მეტ სიროფს ვღებულობთ.

ყოველდღიურად რამდენიმე კილო მაზუთს ვზოგავთ იმით, რომ ნაცვლად ცისტერნებიდან ქვაბებში ხელით გადასხმისა, მოვაწყეთ მაზუთის მექანიკური გადამსხმელი აპარატი.

ქარხნის თითოეული მუშაკის ყურადღება განსაკუთრებით მიქცეულია ძირითადი მასალის — სპირტის დაზოგვისაკენ. აქამდე სპირტით სავსე კასრები ეზოში ღია ცისქვეშ ეწყო, რის გამოც, განსაკუთრებით სიცხეში, ადგილი ჰქონდა სპირტის დანაკარგებს. ახლა კასრების შესანახად მოწყობილია სპეციალური საფარი. გარდა ამისა, სტახანოველ ჩამომსხმელ ნინო ინაშვილის წინადადებით კონიაკისა და არყის ჩამომსხმელი მაგიდები ისეა მოწყობილი, რომ შემთხვევით დაღვრილი სპირტი გროვდება სპეციალურ ტაფებში, რის შემდეგაც ხელახლა ტარდება ფილტრში. ყოველივე ამის გამო გასულ თვეს მარტო კონიაკის საამქრომ (უფროსი გ. ციციშვილი) დაზოგა 33 ლიტრი, ხოლო არყის საამქრომ (უფროსი პ. სარაჯიშვილი)—199 ლიტრი სპირტეული.

ქარხნის მოწინავე მუშები გ. კეკელიშვილი, გ. მატახერია, შ. ქრისტესაშვილი, ნ. მზარეულიშვილი და სხვები გარდა იმისა, რომ იძლევიან დღიურად 2½-3 ნორმას, დიდი რაოდენობით ზოგავენ ძირითადად დამხმარე მასალებს.

ს. ხარაბაძე

თბილისის № 4 კონიაკ-არყის ქარხნის დირექტორი.

ადგილობრივი რესურსების გამოყენებით

ჭიათურა („კომუნისტის" კორ.). ჭიათურის მარგანტრესტის მთავარი მექანიკური სახელოსნოს კოლექტივმა (დირექტორი ორდენოსანი ვ. გეწაძე) წინაოქტომბრო შეჯიბრებაში ჩაბმისას იკისრა აგვისტოსთან შედარებით სექტემბერ-ოქტომბერში ერთიორად გაედიდებინა პროდუქციის გამოშვება. სახელოსნოს კოლექტივი კონკრეტული საქმეებით ასრულებს ვალდებულებებს — სექტემბერში გამოუშვა სამჯერ მეტი პროდუქცია, ვიდრე აგვისტოში, სექტემბერშივე დაამთავრა წინა თვეების დანაკლისი და მესამე კვარტალის გეგმა 115 პროცენტით შეასრულა. მარტო სექტემბერში სახელოსნოს კოლექტივმა გეგმის გადამეტებით ფრონტს მისცა 120.000 მანეთის მაღალხარისხოვანი პროდუქცია.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა გრაფიკით მუშაობის დანერგვას, ადგილობრივი რესურსების გამოყენებას, ეკონომიისათვის ბრძოლას, ტექნოლოგიური პროცესის გაუმჯობესებას. ადგილობრივი რესურსების გამოყენებით სექტემბერში დაიზოგა 20 ტონა თუჯი, 30 პროცენტით შემცირდა აგრეთვე კოქსის მოხმარება.

საგრძნობლად გარდაიქმნა ჩამომსხმელი საამქროს მუშაობა. ინჟ. დ. ჩიხელიძის წინადადებით შეიცვალა ჩამოსხმის ტექნოლოგია, რამაც გაადიდა შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესა სხმულის ხარისხი. ხარატებმა ამხ. ივ. კაპანაძემ და გრ. ჩუბინიძემ დაზგაზე გააკეთეს სპეციალური მოწყობილობა, რითაც დაზგაზე ერთდროულად სამ ოპერაციას ასრულებენ. ოსტატმა ამხ. ს. რუხაძემ დაზგაზე გამართა მოწყობილობა, რომელმაც 40 პროცენტით შეამცირა წუნდებული პროდუქციის გამოშვება.

პ. ჭიოკაძე

უკანასკნელი ცნობები

ოტავას ჩავიდა საბჭოთა დესპანი კანადაში

ოტავა, 13 ოქტომბერი (საკდესი). გუშინ ოტავას ჩამოვიდა საბჭოთა დესპანი კანადაში ამხანაგი გუსევი და მასთან ერთად დიპლომატიური მისიის პერსონალი.

სადგურზე გუსევსა და მისიის წევრებს შეხვდა პრემიერ-მინისტრი კინგი, რომელიც დესპანს მოკლე სიტყვით მიესალმა. შემხვედრთა შორის იყვნენ აგრეთვე სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი ვაიი და პრესის წარმომადგენლები. მატარებლის მოსვლისას ბაქანზე შეიკრიბა ბევრი მცხოვრები, რომლებიც სსრ კავშირის დესპანს მიესალმებოდნენ.

საბჭოთა დესპანის ჩასვლა კანადაში

ოტავა, 14 ოქტომბერი (საკდესი). 13 ოქტომბერს კანადის პრემიერ-მინისტრმა მაკენზი კინგმა მიიღო საბჭოთა დესპანი ამხ. გუსევი. საუბარმა ერთ საათს გასტანა.

უილკი ა. შ. შტატებში ჩავიდა

ვაშინგტონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). რუზველტის პირადი წარმომადგენელი უილკი ვაშინგტონში ჩამოვიდა. ჩუნცინიდან ვაშინგტონამდე უილკიმ იმგზავრა თვითმფრინავით ალიასკაზე გავლით.

უილკი ა. შ. შტატებში დაბრუნდა

ვაშინგტონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). დღეს პრეზიდენტ რუზველტის პირადი წარმომადგენელი უილკი ჩუნცინიდან ვაშინგტონს მოვიდა. დღესვე უილკი მიღებულ იქნა რუზველტის მიერ, რომელთანაც საათნახევრის განმავლობაში საუბრობდა.

ინგლის-გერმანიის საჰაერო ომი

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ინგლისის ავიაციის სამინისტროს კომუნიკეში ნათქვამია, რომ 14 ოქტომბერს დღისით ინგლისის თვითმფრინავებმა ლანიონის მახლობლად (ჩრდილოეთ საფრანგეთი) იერიში მიიტანეს საქონლის მატარებლებსა და რკინიგზის სახელოსნოებზე.

ა. შ. შტატებისა და ჩილის ურთიერთობისათვის

ვაშინგტონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკის მაღალი თანამდებობის წარმომადგენელმა კორესპონდენტებს განუცხადა, რომ ღერძის სახელმწიფოთა აგენტები ჩილსა და არგენტინაში დახმარებას უწევდნენ მტრის წყალქვეშა ნავების ოპერაციებს ამერიკის კონტინენტის დასავლეთ ნაწილში.

როგორც შემდგომ ამერიკის აღნიშნულმა წარმომადგენელმა განაცხადა, ჩილის მთავრობამ არ გაამართლა ა. შ. შტატების იმედი, რომ ახალი პრეზიდენტის რიოსის არჩევის შემდეგ ჩილის პოლიტიკა შეიცვლებოდა.

სარწმუნო ცნობების თანახმად, არგენტინის რადიოკომპანიას განზრახვა ჰქონდა ნებაყოფლობით შეეწყვიტა თავისი კავშირგაბმულობის ხაზები ღერძის სახელმწიფოებთან, მაგრამ არგენტინის მთავრობამ ხელში აიღო კავშირგაბმულობის საშუალებებისადმი კონტროლი სწორედ იმისათვის, რომ შეენარჩუნებინა ღერძის სახელმწიფოებთან არსებული კავშირის ეს გზა.

პარტიზანების ბრძოლა საბერძნეთში

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). გაზეთი „ტაიმსი" იუწყება, რომ საბერძნეთში, ეპირის, მაკედონიისა და თესალიის მთებში ძლიერი პარტიზანული რაზმები მოქმედებენ. პარტიზანები ინარჩუნებენ სამხრეთ მაკედონიისა და ჩრდილოეთ თესალიის რაიონს. ამ ცოტა ხნის წინათ პარტიზანული რაზმები იტალიის ჯარებს წააწყდნენ. გაჩაღებულ ბრძოლაში მოკლულ იქნა 20 იტალიელი.

გაზეთის სიტყვით, მთელი ბერძენი მოსახლეობა ცდილობს ყოველგვარი საშუალებით დაეხმაროს პარტიზანებს. ის თითო-ოროლა პირნი, რომლებიც ჰიტლერელებთან თანამშრომლობენ მოღალატეებად მიაჩნიათ.

ჰიტლერელების მიერ საფრანგეთის გაძარცვა და ეკონომიური დამონება

ნიუ-იორკი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ამერიკული გაზეთი „მონიტორი" სწერს, რომ გერმანელებმა საფრანგეთის მრეწველობის დიდი ნაწილი მთლად გერმანიის ეკონომიკას შეუერთეს. საფრანგეთის მთელმა მრეწველობამ „რეორგანიზაცია" განიცადა იმ მიზნით, რათა უზრუნველყოფილ იქნას გერმანელთა დაკვეთების საუკეთესოდ შესრულება და გერმანიაში მუშახელის გაგზავნა.

გერმანელები საფრანგეთში მხოლოდ იმ საწარმოებს რთავენ ფუნქციონირების უფლებას, რომლებსაც ყველაზე უფრო თანადროული მოწყობილობა აქვთ და შეუძლიათ გერმანელთა საჭიროების დაკმაყოფილება. ამჟამად საფრანგეთის მრეწველობამ სავალდებულო წესით უნდა მისდიოს წარმოების გერმანულ მეთოდებს, პროდუქცია უნდა დაამზადოს გერმანული ნახაზებით და იხმაროს ნაკეთობათა გერმანული საფაბრიკო-საქარხნო ნომენკლატურა. ჰიტლერელებმა აიძულეს ფრანგი მრეწველები საფრანგეთის მრეწველობის სხვადასხვა დარგები „შეუერთონ გერმანულ სამრეწველო ტრესტებსა და კონცერნებს, რომლებმაც თავიანთი კონტროლი დააწესეს მთელს საფრანგეთში გაბნეული, ცალკეული ფრანგული ფაბრიკებისა და ქარხნებისადმი, რომლებიც ჯერ კიდევ მუშაობენ".

ჰიტლერელების მიერ საფრანგეთის მრეწველობის ხელში ჩაგდება აღიდებს ფრანგი ხალხის გაჭირვებას, რადგან ის საწარმოები, რომლებიც წინათ საფრანგეთის საშინაო ბაზრის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად მუშაობდნენ, ამჟამად არ იღებენ არც ნედლეულსა და არც სათბობს თვით ფართო მოხმარების უსაჭიროესი საგნების საწარმოებლად. სამრეწველო ნაკეთობათა უქონლობა ძლიერ გავლენას ახდენს სასურსათო მდგომარეობაზე ქალაქებსა და სამრეწველო რაიონებში. ფრანგი გლეხები უარს ამბობენ რეკვიზიციისაგან გადარჩენილი თავიანთი პროდუქტების ნარჩენები წაიღონ ქალაქებში და ქაღალდის ფულად გაჰყიდონ, ვინაიდან ამ ფულით მათ არ შეუძლიათ სამრეწველო ნაკეთობათა ყიდვა.

გერმანელ დამპყრობთა ბოროტმოქმედებანი ოკუპირებულ საბჭოთა რაიონებში

სტოკჰოლმი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ჰიტლერელთა გაზეთების სტატიები ოკუპირებული საბჭოთა რაიონების მდგომარეობის შესახებ ოკუპანტთა უღელქვეშ მყოფი მოსახლეობის გაჭირვებული მდგომარეობის ბევრ აღიარებას შეიცავენ და გვიხატავენ უმაგალითო აბუჩად აგდების, თვითნებობისა და ძარცვის სურათს, რასაც გერმანელი ფაშისტი დამპყრობნი სჩადიან.

უმაგალითო მასშტაბებით სწარმოებს მოსახლეობის ძარცვა. გლეხებს, ქალაქის მცხოვრებთ ართმევენ უკანასკნელ ლუკმა პურს. მაგალითად, გაზეთმა „დოიჩე ცაიტუნგ ინ ოსტლანდმა" გამოაქვეყნა რიგის ჰიტლერელი „გენერალური კომისრის" ლიხმანის განცხადება, რომელშიც ნათქვამია: „ლატვიის ყველა გლეხი ვალდებულია ჩააბაროს ჭვავის, ხორბლის, უგრეხელის, აგრეთვე ქერის მთელი მოსავალი. ჭვავის ორი მესამედი ჩაბარებულ უნდა იქნას არა უგვიანეს 1942 წლის დეკემბრისა, დანარჩენი კი—1943 წლის იანვრის განმავლობაში. გაზეთმა „რევალერ ცაიტუნგმა" მოათავსა სტატია, რომელშიც პირდაპირ არის განცხადებული, რომ „ესტონელი გლეხები და მუშები ვალდებული არიან გერმანიის არმიის ინტერესებისათვის ზიდონ ომის ტვირთის ყველაზე მძიმე ნაწილი".

მინსკში გამეფებული სილატაკის საშინელ სურათს ხატავს გაზეთი „მინსკერ ცაიტუნგი". ამ გაზეთის სიტყვით, მინსკში მოსახლეობის რაოდენობა ერთი-სამად შემცირდა. 100.000 საბჭოთა მოქალაქე იმ სადგომებში სცხოვრობს, რომლებშიც ომამდე 5.000 კაცი ცხოვრობდა. ყველა გადარჩენილი საუკეთესო შენობა მინსკში გერმანელებს უკავიათ. ეპიდემიებმა შემჭიდროებისა და შიმშილის შედეგად, გაზეთის აღიარებით, საშიში ხასიათი მიიღეს. მატულობს რიცხვი ტიფითა და დიფტერიით დაავადებულთა.

მხეცური ძალდატანების მეთოდებით სწარმოებს ოკუპირებული რაიონების გაგერმანელება. ბელორუსიაში, იმავე გაზეთ „მინსკერ ცაიტუნგის" ცნობით, ბელორუსული სკოლები დახურულია. მთელს მინსკში, ამ გაზეთის ცნობებით „სასწავლო წელი უნდა დაიწყოს 9 სკოლაში, რომელთაგან 5 სკოლაში ჯერ კიდევ გერმანელთა ჯარი დგას". სწავლება ამ სკოლებში გერმანულ ენაზე იქნება. მასწავლებლებმა გამოცდა უნდა ჩააბარონ, რათა „აჩვენონ თავიანთი ვარგისობა გერმანული სულისკვეთებით ახალგაზრდობის აღზრდისა და სწავლებისა. მათ უნდა წარადგინონ თავიანთი ბიოგრაფიები, რომლებიც გამოააშკარავებენ მათს პოლიტიკურ რწმენას". გამოცემულია ბრძანება, რომლითაც მთელს ბელორუსიაში ბელორუსული შრიფტი ლათინურით იცვლება. იუწყება რა ამის შესახებ, გაზეთი „მინსკერ ცაიტუნგი" სწერს, რომ „რამდენადაც გერმანიაში მიღებულია ლათინური შრიფტი, იგი ერთად-ერთი შრიფტი უნდა გახდეს ბელორუსიისთვისაც".

ოკუპირებული რაიონების მოსახლეობას ჰიტლერელები თავიანთ მონებად აქცევენ. ისინი ბავშვებს, ქალებსა და მოხუცებს მძიმე იძულებითს სამუშაოზე ერეკებიან. ესტონეთში, როგორც გაზეთი „რევალერ ცაიტუნგი" იუწყება, მთელი ახალგაზრდობისათვის 10 წლიდან მოყოლებული შემოღებულია იძულებითი შრომა. „ყოველი ესტონელი ქალიშვილი,—სწერს გაზეთი, — ვალდებულია ნახევარ წელიწადს შინამოსამსახურედ იმუშაოს გერმანელ პატრონებთან და ნახევარ წელიწადს სოფლის მეურნეობაში. ჰიტლერელებმა ოკუპირებულ რაიონებში ნამდვილი ბატონყმური, მონათმფლობელური წყობილება დაამყარეს.

ჰიტლერელ მძარცველთა ყველა ღონისძიება მოსახლეობის სულ უფრო ზრდად სასტიკ წინააღმდეგობას აწყდება. ჰიტლერელთა გაზეთების სტატიები სავსეა იმაზე ჩივილით, რომ საოკუპაციო ხელისუფალთა მიერ გადადგმული ნაბიჯები „წინააღმდეგობასა და გაუგებრობას" აწყდება.

ჰიტლერელები სისხლის ღვრით უსწორებენ ანგარიშს, რათა გასტეხონ საბჭოთა პატრიოტების წინააღმდეგობა. „რევალერ ცაიტუნგმა" გამოაქვეყნა ბრძანება, რომელშიც ნათქვამია, რომ იმ პირებს, „რომლებიც არ გამოიჩენენ გერმანელ ხელისუფლებთან თანამშრომლობის სურვილს", უარს ეტყვიან სასურსათო ბარათების მიცემაზე. ამნაირად ჰიტლერელებს შიმშილით სურთ ჩაახშონ ოკუპირებული რაიონების ხალხთა მასების წინააღმდეგობა.

ისინი მიმართავენ აგრეთვე უსასტიკეს ტერორს, დახვრეტას, წამებასა და სიკვდილით დასჯას. ბევრი ათასი საბჭოთა მოქალაქე დახვრეტილ იქნა მინსკში. გესტაპოელები ყოველდღე ათობით და ასობით ადამიანს ხოცავენ. დედებს არ შეუძლიათ იპოვონ თავიანთი შვილები, შვილებს—დედ-მამა. გაზეთი „მინსკერ ცაიტუნგი" იუწყება, რომ ქალაქში გადარჩენილ სახლების კედლებზე შეიძლება ხშირად ნახოთ მრავალი წარწერა. „ეს,—ცინიკურად აცხადებს ჰიტლერული გაზეთი, — დიდი ტრაგედიების კვალია. ბევრ ადამიანს საშინელი ბედი ეწია. პატარა ბავშვები ქუჩებში დატირიან და დედებს ეძახიან. ბევრი ოჯახი გაპარტახებულია. ადამიანები კედლებზე სწერენ თავიანთ სახელებს, რათა ამნაირად აცნობონ თავისი ამბავი უკვალოდ დაკარგულ ნათესავებს. დედას დაუკარგავს 4 პატარა ბავშვი და მეზობლებს სთხოვს, დაეხმარონ მათს მოძებნაში. ასეთი წარწერა ძალიან ბევრია".

ჰიტლერელები ძარცვავენ საფრანგეთს

ლონდონი, 15 ოქტომბერი (საკდესი). ეკონომიური ომის სამინისტროს საპარლამენტო მდივანმა დინგლ ფუტმა განაცხადა, რომ ამა წლის პირველი 6 თვის განმავლობაში საფრანგეთმა გერმანიას 315.900 ათასამდე გირვანქა სტერლინგი გადაუხადა. ფუტმა აღნიშნა: ზუსტი ცნობები არა მაქვს იმის შესახებ, თუ ამ თანხის რა ნაწილია დახარჯული გერმანიის საოკუპაციო არმიის შესანახად, მაგრამ ვფიქრობ, რომ ეს თანხა 100 მილიონამდე გირვანქა სტერლინგს შეადგენს.

ბელგიელი პატრიოტების ბრძოლა

ნიუ-იორკი, 13 ოქტომბერი (საკდესი). იუნაიტედ პრესის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ბელგიაში უკანასკნელ ხანს აღინიშნება საბოტაჟის აქტების, აგრეთვე ანტიჰიტლერული დემონსტრაციების რიცხვის გადიდება. ბელგიელმა პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს ასფალტის დიდ ქარხანას ძაიეს მახლობლად; ქარხანა საესებით მოსპობილია. ლუვიეში პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს 4 წისქვილს; ხანძრით გამოწვეული ზარალი 10 მილიონ ფრანკს უდრის. მარიეში ბომბი შეაგდეს იმ კინოში, სადაც ფილმს უჩვენებდნენ გერმანელ ჯარისკაცებს; აფეთქების შედეგად ბევრი ჯარისკაცი მოკვდა და დაიჭრა.

ჰიტლერელი ოკუპანტები ნორვეგიაში მძვინვარებენ

სტოკჰოლმი, 13 ოქტომბერი (საკდესი). პრესის ცნობებით, გერმანელთა პოლიციამ ამ ცოტა ხნის წინათ გრანეს რაიონში, ნორდლანდის პროვინციაში, იარაღის საწყობი აღმოაჩინა. ადგილობრივი მოსახლეობიდან მრავალი კაცი დააპატიმრეს. სტეინკიერში, რომელზედაც საგანგებო მდგომარეობა ვრცელდება, უცნობმა პირებმა ფოსდალენის სამადნოში (მალმეს რაიონი) კომპრესორი ააფეთქეს. ამ დივერსიის დამნაშავეთა შეპყრობაში დახმარებისათვის დიდ ჯილდოს შეჰპირდნენ.

მას შემდეგ, რაც ცნობილი გახდა, რომ ტრონჰეიმში ხალხი დახვრიტეს, ჰამერსში (აღმოსავლეთ ნორვეგია) გერმანიის ჯარების ყაზარმების წინ მთელი რიგი მწვავე ინციდენტები მოხდა. აღშფოთებულმა ნორვეგიელმა მოსახლეობამ ქალაქში ყველა გერმანული აბრა და პლაკატი ჩამოგლიჯა. ხელისუფალნი საგანგებო მდგომარეობის შემოღებას იმუქრებიან. ინციდენტები მოხდა აგრეთვე აღმოსავლეთ ნორვეგიის სხვა ადგილებშიც.

გერმანელებს ეშინიათ ტყვეებთან და სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებთან ხალხის ურთიერთობისა, რის გამო მათ ბრძანება გამოსცეს, რომ „ნორვეგიელთა ყოველგვარი კავშირურთიერთობა სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებთან განხილულ იქნება, როგორც ჯაშუშობა და სიკვდილით დაისჯება".

აკრძალულია ყოველგვარი ურთიერთობა ნორვეგიაში მყოფ სამხედრო ტყვეებთან.

პურის ნორმების შემცირება ევროპის ქვეყნებში

ჟენევა (საკდესი). როგორც ბერლინიდან იუწყებიან, გერმანიის წარმომადგენლებმა მთელ რიგ ვასალურ ქვეყნებში მოახერხეს დაეთანხმებინათ ამ ქვეყნების მთავრობები პურის ნორმების შემდგომ შემცირებაზე. ნორმები შემცირებულ იქნება 25-50 პროცენტით. ეს გადაწყვეტილება ყველაზე მეტად შეეხება საფრანგეთს, უნგრეთს, ბულგარეთს. დაკლებული ნორმების დაწესების გარდა, ვასალურ ქვეყნებში მზადება მიმდინარეობს ახალი არასაკვები ნარევების შემოსაღებად.

უნიფიცირებულმა პრესამ დაიწყო სისტემატურად გამოქვეყნება სტატიებისა, რომლებშიც მეტად არახელსაყრელად არის შეფასებული წლევანდელი მოსავალი. ყურადღებას იქცევს ის გარემოებაც, რომ ამ უკანასკნელ ხანს ვასალური ქვეყნების ბევრმა ხელმძღვანელმა მოღვაწემ წარმოსთქვა სიტყვები, რომლებიც მიეძღვნა მომარაგების არახელსაყრელ პერსპექტივებს დაბალი მოსავლის შედეგად. ყოველივე ამან, ჰიტლერის დამქაშების აზრით, მოსახლეობის თვალში უნდა გაამართლოს პურის ნორმების მომავალი შემცირება.

კაირო (საკდესი). რუმინეთში დაძაბული სასურსათო მდგომარეობა შეიქმნა. მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელი მოსავალი არაჩვეულებრივად დაბალი იყო, გერმანელები მოითხოვენ საესებით შესრულებულ იქნას ეკონომიური შეთანხმება, რომლის მიხედვით რუმინეთმა გერმანიას უნდა მიაწოდოს რუმინეთში დამზადებული ყველა პროდუქტის 75-80 პროცენტი.

მწვავე სასურსათო გასაჭირი გერმანიაში

სტამბოლი, 12 ოქტომბერი (საკდესი). შვეიცარული ჟურნალი „ველტვოხე" აქვეყნებს ცნობებს, რომლებიც მოწმობენ, რომ სასურსათო მდგომარეობა გერმანიაში არასოდეს არ ყოფილა ისე სავალალო, როგორც ამჟამად არის. ჟურნალი აღნიშნავს, რომ „გერმანიის სოფელში, რომელიც საბოტაჟს უწევს გერინგისა და ჰიმლერის დრაკონულ ბრძანებებს, სერიოზული შინაგანი ფრონტი იქმნება". ჟურნალის ცნობებით, გერმანიის ხელისუფალნი უძლურნი აღმოჩნდნენ უზრუნველეყოთ მოსახლეობის მომარაგება კარტოფილით, რომელიც სრულიად გაქრა. ჟურნალის სიტყვით, ხელისუფალნი ცდილობენ კარტოფილის არქონა შარშანდელი ზამთრის სიცივეებით ახსნან, მაგრამ მოსახლეობას ეს განმარტება არა სჯერა, რადგან მას ესმის, რომ ნამდვილი მიზეზი ომის გაჭიანურებასა და იმაში იმალება, რომ ჰიტლერს უკრაინის რესურსების იმედი ჩაეფუშა.

შემდეგ ჟურნალი იუწყება, რომ ამ უკანასკნელ ხანს შეფერხებანი მოსახლეობის პურით მომარაგების საქმეში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა. მოსახლეობის დასამშვიდებლად ხელისუფალნი იძულებული იყვნენ გასანაწილებლად გამოეშვათ ფქვილის ხელუხლებელი მარაგი, რაც დიდ ქალაქებში წინათ შექმნეს იმ შემთხვევისათვის, თუ დაბომბვის გამო პურის მიწოდება შეწყდებოდა. გერმანული წყაროებიდან ამოღებული გამოანგარიშებით, გერმანიის ზურგისა და ფრონტის საჭიროების დასაკმაყოფილებლად აკლია 5 მილიონი ტონა მარცვლეული, აგრეთვე 7 მილიონი ტონა ფურაჟი.

გერმანიის სასურსათო მინისტრმა ბაკემ გამოსცა განკარგულება, რათა გერმანელმა გლეხებმა მთლიანად ჩააბარონ მოსავალი. პირადი მოხმარებისათვის გლეხებს ეძლევათ საშიმშილო პურის ნორმა, რაც დაწესებულია ქალაქის მოსახლეობისათვის. ბაკეს უკანასკნელი განკარგულებით, გლეხები ვალდებული არიან ჩააბარონ ხელისუფალთ აგრეთვე მთელი ფურაჟი, რის ნაცვლადაც მათ ეძლევათ ბარათები პირადი სამეურნეო საჭიროებისათვის ფურაჟის მისაღებად. ჟურნალი იუწყება, რომ გლეხები ყოველგვარი საშუალებით მალავენ მოსავლის ნაწილს და ცდილობენ შავ ბაზარზე გაჰყიდონ თავიანთი პროდუქტები. ამასთან დაკავშირებით ბერლინში ამას წინათ გერინგის თავმჯდომარეობით შესდგა ორდღიანი კონფერენცია, რომელზეც განხილული იყო სურსათის მდგომარეობისა და სოფლად საბოტაჟთან ბრძოლის საკითხები. კონფერენციის შემდეგ გამოქვეყნდა განკარგულება იმის შესახებ, რომ მესაბოტაჟენი დაჯარიმებულ იქნებიან 100 ათასამდე მარკით და მოთავსებულ იქნებიან საკონცენტრაციო ბანაკებში. მაგრამ ამ განკარგულებამ მდგომარეობა ვერ შესცვალა. ჟურნალი აცხადებს, რომ „მომავალ ზამთარში ჰიტლერი წააწყდება არა მარტო მოსახლეობის უდიდეს უკმაყოფილებას, არამედ საომარი პროდუქციის გამოშვების მკვეთრ შემცირებასაც".

უცხოეთის ქრონიკა

1937 წლიდან — იაპონიასთან ომის დასაწყისიდან — ჩინეთში მობილიზებულია 11.000.000 ფიზიკურად ჯანმაღი მამაკაცი.

* * *

უკანასკნელ წლებში ავსტრალიის სამხედრო მრეწველობა ძალზე გადიდდა. საომარ მასალათა დამამზადებელი სახელმწიფო ქარხნების რიცხვმა 6-დან 22-მდე იმატა. სამხედრო მრეწველობაში მომუშავე მუშათა რიცხვი 37.800 კაციდან 67.000-მდე გადიდდა. მთავრობის გასავალი სამხედრო მრეწველობაში ამჟამად 59 მილიონ ავსტრალიურ გირვანქას შეადგენს.

* * *

გრენობლში (საფრანგეთი) შესდგა მოსახლეობის ანტიგერმანული დემონსტრაცია. დააპატიმრეს ასობით ფრანგი პატრიოტი. ნიცაში ბომბის აფეთქებით დაზიანებულ იქნა ერთ-ერთი პროჰიტლერული ორგანიზაციის ცენტრალური სადგომი. უკანასკნელი სამი კვირის მანძილზე ეს მე-15 აფეთქებაა ნიცაში.

ამერიკის შეიარაღებულმა ძალებმა 11 ოქტომბერს სოლომონის კუნძულების რაიონში ჩასძირეს იაპონიის 1 მძიმე კრეისერი, 4 საესკადრო ნაღმოსანი და 1 ტრანსპორტი. ძლიერ დაზიანებულია კრეისერი და საესკადრო ნაღმოსანი. ამერიკის ფლოტმა ერთი საესკადრო ნაღმოსანი დაჰკარგა.

* * *

ნაციონალისტურ ორგანიზაცია „ირლანდიის რესპუბლიკური არმიის" წევრთა გამოსვლასთან დაკავშირებით ბელფასტის რაიონის (ჩრდილოეთი ირლანდია) მოსახლეობას აეკრძალა ქუჩაში გამოსვლა 20 საათსა და 30 წუთის შემდეგ.

* * *

ბრაზილიიდან დაბრუნებულმა ამერიკის შეერთებული შტატების საზღვაო მინისტრმა ნოქსმა განაცხადა, რომ ორივე ქვეყანას შორის მიღწეულია შეთანხმება მტრის წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ ბრძოლაში სრული თანამშრომლობის შესახებ. ბრაზილიის სამხედრო-საზღვაო ფლოტი მნიშვნელოვნად არის გაძლიერებული. (საკდესი).

ა. კარტოზიას გამოსვლა მასწავლებელთა ანტიფაშისტურ მიტინგზე მოსკოვში

(მოსკოვი, „კომუნისტის" საკ. კორესპონდენტისაგან).

მასწავლებელთა ანტიფაშისტურ მიტინგზე მოსკოვში სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს სსრ რესპუბლიკის დამსახურებულმა მასწავლებელმა ა. კარტოზიამ. საქართველოს მასწავლებელთა ცამეტიათასიანი არმიის სახელით მან ილაპარაკა წმიდა სიძულვილის იმ უსაზღვრო გრძნობაზე, რომელსაც საქართველოს მასწავლებლობა განიცდის ფაშისტ დამპყრობთა მიმართ. ფაშიზმს მოაქვს მონობის უღელი მთელი ქვეყნის ხალხისათვის, ართმევს ბავშვებს ბედნიერ ბავშვობას.

ამხ. ა. კარტოზია ლაპარაკობდა მოძმე საბჭოთა ხალხების ურყევ მეგობრობაზე, საქართველოს გმირი შვილების — მ. გახოკიძის, ნ. ადამიას, პ. ჩანჩიბაძის და სხვათა შესახებ, რომლებმაც მტერთან ბრძოლებში მოიპოვეს დიდება და სახელი. ორატორი ლაპარაკობდა სამშობლოს წმიდა სიყვარულზე, რომლითაც გაჟღენთილია ქართული ნაციონალური ლიტერატურა.

ამხ. ა. კარტოზიამ უამბო მიტინგს ომის პირობებში საქართველოს სკოლების მუშაობის, წითელარმიელთა ოჯახებისათვის საქართველოს მოსწავლეების მიერ დახმარების აღმოჩენისა და მტრის მიერ დროებით დაკავებული რაიონებიდან ევაკუირებულ ბავშვებზე ზრუნვის შესახებ.

— ჩვენი სკოლა, — [illegible] ამხ. ა. კარტოზიამ, — ზრდის ახალგაზრდობაში სიყვარულსა და ერთგულებას ლენინ-სტალინის პარტიის საქმისადმი. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენს ქვეყანაში სახელგანთქმული საბჭოთა კავშირის გმირი ნოე ადამია ჩემი, ოცდამეცამეტე სკოლის აღზრდილია. მის გარდა ჩემმა სკოლამ აღზარდა მრავალი სახელოვანი მებრძოლი: შოთა კანდელაკი, ვანო ხუციშვილი, პავლე მაღლაკელიძე და სხვ.

საქართველოს სკოლების მასწავლებლებმა დიდი აღმავლობით დაიწყეს ახალი სასწავლო წელი. ისინი მზად არიან მთელი თავისი ცოდნა და ძალები ახალ თაობაში სამშობლოსადმი სიყვარულისა და ერთგულების უსაზღვრო გრძნობის აღზრდის საქმეს მოახმარონ. ქართველი ხალხი არავის არასოდეს არ მისცემს შესაბილწავად საბჭოთა მიწას, რომელმაც მოგვცა თანამედროვე კაცობრიობის გენიოსი, ბრძენი მთავარსარდალი, ხალხთა ბელადი დიდი სტალინი. არასოდეს, არავითარი მტრის წინაშე არ დახრის ამაყ თავს ჩვენი ხალხი!

მიტინგმა ამხ. ა. კარტოზიას სიტყვა მხურვალე ტაშით დაფარა.

ვ. ყარა-მურზა

კონსულტაცია

რა უნდა ვიცოდეთ აუფეთქებელი ავიაბომბების შესახებ

ჩვენს ქალაქებსა და სოფლებზე თავდასხმისას ფაშისტური ავიაცია ჰყრის **ფუგასურ, მტვრევად** და **ცეცხლწამკიდ** ბომბებს.

მიწაზე დაცემისას ავიაბომბების ნაწილი ზოგჯერ არ ფეთქდება. ამ აუფეთქებელ ავიაბომბებს შორის ყველაზე დიდ საშიშროებას წარმოადგენენ დაყოვნებული მოქმედების ბომბები. ეს ის ბომბებია, რომლებიც ფეთქდებიან არა მიწაზე დაცემისთანავე, არამედ დაცემიდან რამდენიმე ხნის (საათები, დღეები) გასვლის შემდეგ ანდა რაიმე შემდგომი შერყევისაგან (მაგალითად, ბიძგება ადგილგადანაცვლებისას).

დაყოვნებული მოქმედების ბომბი განსაკუთრებულ საშიშროებას წარმოადგენს, თუ იგი დროზე არ იქნა აღმოჩენილი. მიწაში ღრმად ჩაფლული, იგი აფეთქების მომენტამდე არაფრით არ გამოამჟღავნებს თავს და სრულიად მოულოდნელად აფეთქდება და გამოიწვევს ნაგებობათა ნგრევას, ადამიანთა მსხვერპლს.

ყოველი აუფეთქებელი ავიაბომბი აუცილებლად უნდა იქნას აღმოჩენილი რაც შეიძლება მოკლე დროში. ამიტომ მტრის ავიაციის თავდასხმისთანავე თვითდაცვის ჯგუფების უფროსები, სახლთა მმართველები, სახლის რწმუნებულები, სახლის პატრონები ვალდებული არიან მოაწყონ მათი მახლობელი ტერიტორიის გულმოდგინედ დათვალიერება.

როგორ აღმოვაჩინოთ აუფეთქებელი ავიაბომბები?

აუფეთქებელი ავიაბომბი ზოგჯერ შეიძლება მიწაში არ ჩაეფლოს და ზედაპირზე დარჩეს. მაშინ მისი აღმოჩენა, რასაკვირველია, ძნელი არ არის. მაგრამ უფრო ხშირად იგი მიწაში ეფლობა. ამიტომ დათვალიერებისას ყურადღება უნდა მიექცეს მიწაში ამოღრმავებულ ადგილებს (შეიძლება ეს ავიაბომბის მიწაში ჩაფლობის კვალი იყოს), ნიადაგის ამობერვას, ნაპრალებს მიწის ზედაპირზე და სხვ.

როგორც კი აღმოჩენილი იქნება აუფეთქებელი ავიაბომბი დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს ეს ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის უახლოეს შტაბს ან მილიციის უახლოეს განყოფილებას ავიაბომბის ჩამოვარდნის ადგილის ზუსტი აღნიშვნით.

ბომბის ჩამოვარდნის ადგილი შემოიფარგლება და აღინიშნება პატარა ნიშანსვეტებით, რომლებზეც მიმაგრებული უნდა იყოს დაფა ორმხრივი გამაფრთხილებელი წარწერით: „აუფეთქებელი ბომბი. საშიშია". აგრეთვე მიღებული უნდა იქნას ზომები მოსახლეობის ევაკუაციისათვის იმ სახლებიდან, რომლებსაც ბომბის აფეთქების შემთხვევაში დანგრევის საფრთხე მოელის.

იმ სასოფლო დასახლებულ პუნქტებსა და მუშათა დაბებში, სადაც ადგილობრივი საჰაერო თავდაცვის შტაბები და მილიციის განყოფილებები არ არის, მოქალაქე, რომელიც აღმოაჩენს აუფეთქებელ ავიაბომბს, ვალდებულია დაუყოვნებლივ შეატყობინოს ეს: სოფელ ადგილში—კოლმეურნეობის თავმჯდომარეს, მუშათა დაბაში—სადაბო საბჭოს.

ამასთან თითოეულმა მოქალაქემ უნდა დაიხსომოს და განუმარტოს ყველას, რომ აუფეთქებელი ბომბის შეხება და, მით უმეტეს, მისი ამოთხრის, ამოღების ცდა სასტიკად აკრძალულია. ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა ვადევნოთ თვალყური ბავშვებს.

აუფეთქებელი ბომბის ჩამოვარდნის ადგილას ადამიანთა და ტრანსპორტის მოძრაობა სწყდება, ვიდრე ბომბის გაუვნებლება არ მოხდება.

ლექციები და მოხსენებები

16 ოქტომბერს, საღამოს 7 ს. 30 წ., საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის საქალაქო აგიტპუნქტში (ლენინის ქ. № 41) შესდგება პროფ. **ათაბეკოვის** ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება საქალაქო აგიტპუნქტში დილის 9 საათიდან საღ. 7 საათამდე.

პარტკალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1528715, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მიერ მარიამ სილიბისტროს-ასულ **კომახიძის** სახელზე, პარტბილეთი № 3300597, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მიერ დავით გერასიმეს-ძე **ჩხიკვაძის** სახელზე, პარტბილეთი № 3300591, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მიერ ანტონ ივანეს-ძე **მეფარიშვილის** სახელზე, და პარტბილეთი № 3300590, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) ჩოხატაურის რაიკომის მიერ არქიპო ისონის-ძე **ქორიძის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 1549477, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თელავის რაიკომის მიერ სიკო ზაქარიას-ძე **ხუციშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის რაიკომი აცხადებს, რომ პარტბილეთი № 3725437, გაცემული საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორჯ. ორჯონიკიძის რაიკომის მიერ ვახტანგ ნიკოლოზის-ძე **ბარნაბიშვილის** სახელზე, დაკარგულია და ჩაითვალოს გაუქმებულად.

გროსმაისტერ სალო ფლორის ერთდროული თამაშის სეანსი

18 ოქტომბერს წითელი არმიის საოლქო სახლში შესდგება მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის გროსმაისტერ სალო ფლორის ერთდროული თამაშის სეანსი ჭადრაკში. სეანსში, რომელიც ნაშუადღევის 3 საათზე დაიწყება, ყველა მსურველს შეუძლია მიიღოს მონაწილეობა. (საქდესი).

თეატრებში

17 ოქტომბერს: საოპერო — „კარმენ". **რუსთაველის სახელობის** — „სხვისთვის სული, თავისთვის ჭკუანი". **მარჯანიშვილის სახელობის** — „მეფე ერეკლე". **გრიბოედოვის სახელობის** — „მაშენკა". **სომხური თეატრი** — „კინტო". **ახუნდოვის სახელობის** — „ოქტა ელ ოგლუ". **მუსიკალური კომედიის** — „ცისფერი კლდეები". **ხანკულტურის** — „ბაიადერა". **მოზარდ მაყურებელთა ქართული თეატრი** — „შურისძიება". **მოზარდ მაყურებელთა რუსული თეატრი** — „სამი ზღაპარი". **მოზარდ მაყურებელთა სომხური თეატრი** — „ემანუელ".

დღეს კინოებში

რუსთაველის სახ., ოქტომბერი და სპარტაკი — „ალექსანდრე პარხომენკო". **დამკვრელი** — „მე მიყვარს". **კომკავშირელი** — „ლენინგრადი ბრძოლაში". **ლუქსემბურგის სახ.** — „ანტონ ივანეს-ძე ჯავრობს". **26 კომ. სახ.** — „დობილები". **კომინტერნი** — „ლენინგრადი ბრძოლაში".

პასუხისმგებელი რედაქტორი
ვ. ხატიაშვილი

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს, რომ 1942 წლის 2 ნოემბერს, დღის 3 საათზე, მედინსტიტუტის აუდიტორიაში (მელიქიშვილის ქ. № 16) დანიშნულია სამეცნიერო საბჭოს სხდომა, რომელზედაც საფაკულტეტო თერაპიული კათედრის ასისტენტი გრიგოლ ნიკოლოზის-ძე **ხიჯინავა** მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დაიცავს დისერტაციას თემაზე: „დაჟანგვა-აღდგენითი პროცესები ტუბერკულოზურ ორგანიზმში".

ოფიციალურ ოპონენტებად დანიშნული არიან პროფ. ვ. ასათიანი და პროფ. ირ. ტატიშვილი.

მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ შრომას მედინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (მელიქიშვილის ქ. № 16).

დირექცია

თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების თხილამურის ფაბრიკა

აგროვებს არაკვალიფიციურ მუშახელს, უმთავრესად ქალთაგან.

მიმართეთ დილის 8 საათიდან საღ. 5 საათამდე შემდეგი მისამართით:

1. საბურთალო — ახალშენის 1-ლი ქ. № 17-ა.
2. პაპანინის ქ. № 2 (ყოფ. საჭადრაკო კლუბი).

ფაბრიკასთან არის სასადილო.

ფაბრიკის დირექცია

დაკარგულია თბილისის რაიონის სოფ. ნორიოს ამხანაგ სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მრგვალი ბეჭედი. ჩ. გ. 1309

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იუწყება პროფესორ ანდრია რაზმაძის დედის **ნინო გიორგის-ასულ რაზმაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 16, 17/X, 7 ს. გამოსვენება 18/X, 3½ ს. მელიქიშვილის ქ. № 15. 1311

საქსარეწდამზღვევ სალაროთა კავშირის თანამშრომლები იუწყებიან თამარ ქართველიშვილის დის **ნინო გიორგის-ასულ არჯევანიძის** გარდაცვალებას. 1302

თბილვაჭრობის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 18/X, 2 ს. ვაკის სასაფლაოზე დანიშნულია თბილვაჭრობის სამმართველოს თანამშრომლის ვერა კიტოვანის მეუღლის **ნიკოლოზ ვასილის-ძე ბარათელის** სამოქალაქო პანაშვიდი. 1305

საქართველოს საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ტრესტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ 18/X, 1 ს. ვერის ძველ სასაფლაოზე დანიშნულია ტრესტის დირექტორის კონსტანტინე ჯაფარიძის მეუღლის **ელენე ერმილეს-ასულ ჯაფარიძის** სამოქალაქო პანაშვიდი. 1306

თბილისის 55-ე სკოლის დირექცია და პედკოლექტივი იუწყებიან ამავე სკოლის მასწავლებლის თამარ გიორგობიანის ძმის **ბაბული კიკვიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა სოფ. ჭრებალოში. 1310

თბილისის სტომატოლოგიური ინსტიტუტის და პოლიკლინიკის თანამშრომლები იუწყებიან ამირან ნიკოგოსოვის მეუღლის **თინათინ (თიკო) თომას-ასულ ნიკოგოსოვას** გარდაცვალებას. პანაშვიდი 17/X, გამოსვენება 18/X, 3 ს. ძერჟინსკის ქ. № 18. 1312

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

უე 9809